

მე-6 კლასი

ანალოგიები

1. კიბე:საფეხური
ა. რვეული:ფურცელი ბ. წიგნი:ყდა გ. ხე:ტყე
2. უყვარს:სიძულვილი ტყუის:
ა. მართალი ბ. სიმართლე გ. ტყუილი

წინადადებების შევსება

3. ცნობილია, რომ პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი მასალა _____, მაგრამ გაზეთში მოცემული ეს სტატია _____ ცნობებს.
ა. სიმართლეს არ შეესაბამება/გვაწვდის სარწმუნო
ბ. სიმართლისგან შორსაა/შეიცავს არარეალურ
გ. სიმართლეს შეესაბამება/გვაწვდის ნამდვილ
4. ადამიანს ცხოვრებაში _____ ხვდება დაბრკოლებები, მაგრამ იგი ფარ-ხმალს _____ ყრის.
ა. არასოდეს/მაინც არ
ბ. ზოგჯერ/მაინც არ
გ. ხშირად/მაინც

ლოგიკა

5. ცნობილია, რომ თუ გიორგი ვარჯიშს აცდენს, ე.ი. ის ავადაა. რომელი არ შეიძლება მომხდარიყო ჩამოთვლილთაგან?
ა. გუშინ გიორგი ავად იყო და ვარჯიშში არ გააცდინა
ბ. გუშინ გიორგი ავად არ იყო და ვარჯიშში გააცდინა
გ. გუშინ გიორგი ავად იყო და ვარჯიშში გააცდინა
6. ცნობილია, რომ არც ერთი მგელი არ არის რუხი. რომელი დებულება გამომდინარეობს მოცემულიდან?
ა. ყველა მგელი რუხია
ბ. თუ რაღაც რუხია, ის მგელი არ არის
გ. საკმარისია იყო რუხი, რომ იყო მგელი


IQ-ს ელემენტები

7. რომელია ზედმეტი?



ა ბ გ

8. რა ფიგურა უნდა ჩავსვათ კითხვის ნიშნის ნაცვლად?



მათემატიკური აზროვნება

9. რომელია მეტი? შემოხაზეთ ა თუ მეტია A, შემოხაზეთ ბ თუ მეტია B და შემოხაზეთ გ თუ $A=B$
 A = უდიდეს ორნიშნა ლუწ რიცხვზე ორჯერ ნაკლები რიცხვი
 B = ორმოცდაათი
 ა ბ გ
10. დათომ ჩაიფიქრა რიცხვი, დაუმატა 17, გაყო 2-ზე, შემდეგ კი გაამრავლა 9-ზე. რა რიცხვი შეიძლება მიეღო დათოს?
 ა. 162 ბ. 157 გ. 142